ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3171958

ნომერი: AR1489421

თარიღი : 24.03.2017

გაცემის თარიღი : 28.03.2017

გაცნობის თარიღი : 28.03.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზაზა ღულაძე პ/ნ 60001143752
- ქუთაისი ვ.ხარებავას ქ. N 2 ბ. 64

ორგანიზაცია:
- შპს მწვანე სახლი კოდი: 405156904

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 24 მარტის #AR1489421 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წლის 6 ივლისის #2668569 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.
პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.033.774) სამსახურის მიერ 2016 წლის 6 ივლისს #2668569 ბრძანებით გაცემულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ს შესაბამისი პირობებითა და პარამეტრებით, სადაც შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრულია 15 მეტრით. რომლის ცვლილებას, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.
იმ შემთხვევაში თუ, არ იგეგმება 2016 წლის 6 ივლისს #2668569 ბრძანებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში განსაზღვრული შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის ცვლილება, შეგიძლიათ ისარგებლოთ ზემოაღნიშნული ბრძანებით და საკითხი განსახლველად დააყენოთ პროექტის შეთანხმების სტადიაზე და წარმოდგენილი იქნეს ისეთი არქიტექტურული გადაწყვეტა სადაც დაცული იქნება შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე 15 მეტრი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წლის 6 ივლისის #2668569 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.